საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე: კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე: კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი: კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ს.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ლ. ჭ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.03.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 033/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. დ.-ის მიმართ /სიითი№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. დ.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 07 მარტს მ. ს.-მ საჩივრით მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ დ. დ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისმა ოჯახმა შპს „კ.-სგან“ ისესხა 4100 ევრო და ხელზე გადაეცა 3300 ევრო. დაახლოებით 6 თვის განმავლობაში თანხას განრიგის მიხედვით იხდიდა თვიურად 4.5%-ში. კრედიტორმა მოსთხოვა დავალიანების ერთიანად დაფარვა. მისმა ოჯახმა ვერ შეძლო თანხის გადახდა, რის გამოც აღმასრულებელი დაუკავშირდა და უთხრა, რომ მის ბინას გაიტანდნენ აუქციონზე, მას შეიძენდა ბანკი და შემდეგ ბანკისაგან შეძლებდა გამოსყიდვას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას დახმარება შესთავაზა ადვოკატმა დ. დ.-მ. ადვოკატმა უთხრა, რომ იგი თავად იყიდდა სახლს აუქციონზე და გააფორმებდა მეუღლის მ. ხ.-ს სახელზე. ასევე, ადვოკატი დაჰპირდა, რომ სესხს გაუკეთებდა „რ. კ.-დან“, რომლის ხელმძღვანელი იყო მისი მეუღლე. სესხი იქნებოდა 2%-იანი და სანამ კრედიტს არ დაფარავდა, ბინა მისი მეუღლის სახელზე იქნებოდა აღრიცხული. ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ აუქციონზე შეიძინა მისი ბინა 18 000 აშშ დოლარად, თუმცა მოგვიანებით საჩივრის ავტორისათვის ცნობილი გახდა, რომ ბინა აუქციონზე 13958.15 ლარად გაიყიდა. დ. დ. საჩივრის ავტორის დახმარებით წავიდა იუსტიციის სახლში და ბინა მ. ხ.-ს სახელზე გადააფორმა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2-3 თვის შემდეგ იგი ადვოკატს რამდენჯერმე დაუკავშირდა და სთხოვა დანაპირები სესხის ხელშეკრულების გაფორმება 6266.01 აშშ დოლარის ოდენობით, მაგრამ ადვოკატს მისთვის სესხი არ გაუკეთებია და აძლევდა ფუჭ დაპირებებს.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, „ნ. კ.-ში“ ადვოკატმა დ. დ.-მ, მისი მეუღლის მ. ხ.-ს სახელზე გააკეთა სესხი და იპოთეკით დატვირთა საჩივრის ავტორის სახლი. ადვოკატმა მას გადასცა სესხის ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი. პირველი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მსესხებელი იყო მ. ს., სესხის თანხა იყო 9746.30 აშშ დოლარი 3.5%-იანი სარგებლით. საჩივრის ავტორმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებაზე. დ. დ.-მ მთლიანი თანხა თავად წაიღო და მ. ს.-სათვის არაფერი მიუცია. სესხის უზრუნველსაყოფად გამოიყენეს მისი სახლი. საჩივრის ავტორმა ვერ გადაიხადა სესხი და მისი სახლი კვლავ აუქციონზე გაიყიდა. იგი სხვა ადვოკატმა რობიზონ ხურცილავამ შეიძინა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის 30 იანვარს სასამართლოს გადაწყვეტილებით ის და მისი ოჯახი გამოასახლეს სახლიდან და იმყოფება უკიდურესად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა დ. დ.-მ 2019 წლის 19 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განაცხადა, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზიები მისი მისამართით არის უსაფუძვლო.

2.2 ადვოკატის განცხადებით, იგი არის სს „ფ. ბ. ს.“-ს იურისტი, გარკვეული გამოცდილება აქვს აღსრულების კუთხით, ამიტომ 2012 წელს მ. ს. შეხვდა მას და დახმარება სთხოვა, რადგან ბინას აუქციონზე უყიდიდნენ. ადვოკატმა აუხსნა მას, რომ აუქციონის შეჩერებას ვერ

შეძლებდა და ერთადერთი გამოსავალი იყო მ. ს.-ს აეღო სესხი სხვა მიკროსაფინანსოდან და თავად შეეძინა ბინა აუქციონზე, მაგრამ მას სესხს უზრუნველყოფის გარეშე საკრედიტო ორგანიზაციები არ აძლევდნენ, ბინას კი ყადაღა ედო აღსრულებიდან. მ. ს.-მ ადვოკატს უთხრა, რომ თანხა აპრილის შუა რიცხვებში ექნებოდა ხელზე. ამიტომ ადვოკატმა შესთავაზა, რომ თავისი მეუღლის სახელით იყიდდა აუქციონზე მის სახლს და როდესაც აპრილის თვეში თანხა ექნებოდა, უკან გადაუფორმებდა ბინას. მ. ს.-ს ძალიან გაუხარდა და დათანხმა აღნიშნულ პირობაზე.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან მიიღო აუქციონში მონაწილეობა და მ. ს.ს ბინა შეიძინა 27600 ლარად. ამის შემდეგ მ. ს.-სთან ერთად მივიდნენ საჯარო რეესტრში და მისი ბინა გადააფორმეს ადვოკატის მეუღლის, მ. ხ.-ს სახელზე. აუქციონის შემდეგ სააღსრულებო ბიურომ ზედმეტად ჩარიცხული თანხა მ. ს.-ს გადაურიცხა და მ. ს.-მ ადვოკატს გადასცა 13860 ლარი, მისაცემი დარჩა 8300 აშშ დოლარი და 1000 ლარი მომსახურების საფასური. მ. ს.-მ აპრილის თვეში ვეღარ შეძლო აღნიშნული თანხების მოძიება და გადაწყვიტა კვლავ აეღო სესხი სხვა მიკროსაფინანსოში და მ. ხ.-ს საკუთრებაში არსებული ბინა დაეტვირთა იპოთეკით. დახმარება ადვოკატს სთხოვა, რათა ისეთი მიკროსაფინანსო მოეძიებინა, რომელიც შედარებით დაბალ პროცენტში და მისთვის სასურველი პირობებით გასცემდა სესხს. ყველაზე მეტად მას „ნ. კ.-ის“ პირობები მოეწონა და გააფორმა მათთან სესხის ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმებისას ადვოკატი და მისი მეუღლეც „ნ. კ.-ში“ იმყოფებოდნენ. მ. ს.-მ სრულად გადასცა ადვოკატს დარჩენილი თანხები 8300 აშშ დოლარი და 1000 ლარი. თუმცა მ. ს.-ს ბინა თავის სახელზე არ გადაუფორმებია.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მ. ს.-მ მიაკითხა მას სამუშაო ოფისში, იგი უსაფუძვლოდ ადანაშაულებდა ტყუილში, თითქოს ადვოკატმა შეცდომაში შეიყვანა და „ნ. კ.-ში“ იმაზე მეტი პროცენტის გადახდა უწევდა, ვიდრე თავიდან დაიანგარიშა ადვოკატთან ერთად. ამის შემდეგ მ. ს.ს წინააღმდეგ „ნ. კ.-მ“ არბიტრაჟში შეიტანა სარჩელი, რადგან საჩივრის ავტორი თანხას აღარ იხდიდა. მისი სახლი კიდევ ერთხელ გაიყიდა აუქციონზე.

2.5 ადვოკატის განმარტებით, არჩევნების პერიოდი იყო და იპოთეკით დაზარალებულ პირებს სახელმწიფო იპოთეკით დატვირთული სახლების უკან დაბრუნებას ჰპირდებოდათ. მ. ს. ცდილობდა სახლი მრავალჯერ დაეტვირთა იპოთეკით და შემდეგ დახმარებოდნენ, როგორც იპოთეკით დაზარალებულ პირს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი დ. დ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი.

3.2 მ. ს.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 07 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2012-2013 წლებში.

4. შემაჯამებელი დასკვნა

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, “დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე) “. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა მ. ს.-მ უარი თქვა საჩივარზე 2019 წლის 15 აპრილის განცხადებით, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ადვოკატ დ. დ.-ის მიმართ.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №033/19 ადვოკატ დ. დ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/